ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სდომა

ოქმი N 02

დ. ლენტეხი 29.01. 2026 წ.

მ/წ 29 იანვარს დიღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიის სდომა. სხდომას ესწრებოდნენ სხდომის თავმჯდომარე დათო ფურელიანი; კომისიის წევრები: ირაკლი ქურასბედიანი, ემზარ ქალდანი, თემურ ლიპარტელიანი; ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი, მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მევლუდ ლიპარტელიანი, ფრაქცია ,, ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე იაკობ გაზდელიანი; კომისიის სხდომის მდივანი ნანი ბენდელიანი.

კომისიის თავმჯდომარემ დათო ფურელიანმა სხდომა გააცნო დღის წესრიგი შემდეგი საკითხებით:

1. ლენტეხის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასების დადგენა.
   /მომხსენებელი მერიის ეკონომიკური განვიტარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

2. სხვადასხვა.

მოისმინეს: (პროექტი) მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანის ინფორმაცია ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიულული ფასის დადგენის შესახებ;

,, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ბ" ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის N784 ბრძანებულების შესაბამისად : მუხლი 1. დადგინდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხისმუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დანართი N 1-ის მიხედვით.

დანართი N 1.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვ.მ მიწის ნორმატიული ფასი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

Cn=Img X Itl X C X K

ა. Cn არის 1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ. Img არის დაბა ლენტეხის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,28-ს;

გ. Itl არის ლოკალური ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს;

დ. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვ.მ-ზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს;

ე. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 200;

2.პირველი პუნქტის მიხედვით მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

M G	T L	C	K	C N
0, 28	1	0,24	200	13,44

0,28 x 1 x 0,24 x 200 = 13,44

3. დ. ლენტეხში მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 13,44 ლარს.
4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დ. ლენტეხისთვის დადგენილი ფასის 40%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 5,40 ლარს.
5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის დასახლებათა სორის არეალში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს დაბა ლენტეხისთვის დადგენილი ფასის 30 %-ით და იგი შეადგენს 4,00 ლარს.
6. „საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N407 დადგენილებით განსაზღვრულ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ლენტეხისთვის დადგენილი ფასის 80%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 10,75 ლარს.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის N 04 დადგენილება.

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიის თავმჯდომარემ - დათო ფურელიანმა კითხვა დაუსვა მომხსენებელს ბაჩუკი გაზდელიანს, რომ დაბაში მიწის მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე თუ არის შესაძლებელი მიწის ფასი უფრო მაღალი იყოს, რაზეც ბ. გაზდელიანმა უპასუხა, რომ ზემოთ წარმოდგენილი ფორმულა არ იძლევა ამის შესაძლებლობას.

გადაწყვიტეს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის ბაჩუკი გაზდელიანის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიულული ფასის დადგენის შესახებ ცნობად იქნას მიღებული და მოსმენილ იქნას ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სხდომის თავმჯდომარე ; /დ. ფურელიანი/